ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის

ადმინისტრირების მარეგულირებელი დებულება

1. საგამოცდო ცენტრი

1. საგამოცდო პროცესის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში იქმნება საგამოცდო ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, თანამშრომლობს სკოლების ადმინისტრაციასთან და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აკადემიური საბჭოს წინაშე.

2. ცენტრის ხელმძღვანელი და თანამშრომლები წარმართავენ გამოცდების დაგეგმვას, ჩატარებასა და შედეგების პორტალზე განთავსებას, საჭიროების შემთხვევაში ასევე ხელს უწყობენ სტუდენტების მიერ გამოცდის შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის განხორციელების პროცესს.

3. ცენტრისთვის საგამოცდო საკითხების მიწოდება ხორციელდება გამოცდამდე არაუგვიანეს სამი დღისა უშუალოდ გამოცდაზე პასუხისმგებელი პროფესორის ან შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

4. გამოცდის შედეგებზე წვდომა დასაშვებია ჰქონდეს მხოლოდ იმ პირს რომელიც მონაწილეობს შეფასების პროცესში, ასევე პირს რომელიც ახდენს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და განზოგადებას.

5. გამოცდის შეფასება სტუდენტს ეცნობება საგამოცდო პროგრამის შემაჯამებელი პროცენტული მაჩვენებლის სახით და/ან სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე ატვირთული შეფასების სახით.

2. სტუდენტის ქცევის წესები

1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას სავალდებულოა აკადემიური პატიოსნების სტანდარტის დაცვა და შესაბამისად არ არის ნებადართული:

ა) საუბარი და ნებისმიერი სახის მინიშნება;

ბ) არალეგიტიმური დამხმარე საშუალების გამოყენება;

გ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება;

დ) მობილური ტელეფონით სარგებლობა.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან, ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტი კარგავს შსაბამისი გამოცდის აღდგენის უფლებას.

3. ნებისმიერი შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და მხოლოდ დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.

4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე გამოცდის საჭიროებებიდან ან სტუდენტის სპეციალური საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აუცილებელი ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.

3. შეფასების გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია უშუალოდ გაეცნოს მის ნაშრომს და გაასაჩივროს მიღებული შედეგი სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე ასახვიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

2. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელ საკითხს ან შეფასების რა კომპონენტს აპროტესტებს.

3. განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს განცხადების განხილვასა და, აუცილებლობის შემთვევაში, სპეციალური დროებითი კომისიის მოწვევას შემდეგი შემადგენლობით: კომპონენტის ხელმძღვანელი, კომპონენტის განხორციელებაში ჩართული სხვა პირი, სკოლის დეკანი და სკოლის ადმინისტრაციის ერთი წამომადგენელი.

4. სტუდენტი კომისიის წინაშე წარდგება დასაბუთებული საჩივრით, შესაძლებელია კომისიის მხრიდან დამატებითი კითხვების დასმა გასაჩივრებულ საკითხთან მიმართებაში.

5. სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის ჩატარებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში და შედეგი აისახება სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე.

6. კომისიის მიმდინარეობის თაობაზე დგება ოქმი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს უშუალოდ დაინტერესებული სტუდენტისათვის.

4. გამოცდის აღდგენა

1. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოცდის აღდგენა, თუ გამოცდის გაცდენა მოხდა ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ისეთი მიზეზით, რაც სკოლის დეკანის მიერ საპატიოდ იქნება მიჩნეული. გაცდენის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს შესაბამისი გარემოებების დადგომიდან დაუყოვნებლივ.

2. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ასევე ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მიერ გაცემული ცნობა გამოცდაზე გასვლის შემაფერხებელი გარემოების შესახებ. სასურველია შესაბამისი ცნობა წარმოდგენილ იქნეს დაუყოვნებლივ, მაგრამ გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

3. გამოცდის აღდგენა ტარდება სემესტრში მხოლოდ ერთხელ, გამოცდების აღდგენის კვირაში დასკვნით გამოცდებამდე 1 კვირით ადრე.